საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ ლევან დავითაშვილს

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "გია_2019"-ის (ს/კ430804640) დირექტორი
ბ-ნი გია ვარსიმაშვილის
ელ.ფოსტა. varsimashviligia39@gmail.com
ტ. 551 01-00-00

სკრინინგის განცხადება

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "გია_2019"-ის ქ. რუსთავში, მშენებელთა ქუჩა №72. ს.კ. 02.07.03.031 და 02.07.03.032,** გააჩნია ცემენტის წარმოების საამქროს (კლინკერის, თაბაშირისა და დანმამატების დაფქვით) (GPS კოორდინატში X-503915 Y-4595485).

აღნიშნული საწარმო წარმოადგენდა შპს „ვ.დ.ლ"-ის საკუთრებას, რომელზედაც სამინისტროს მიერ ცემენტის წარმოებაზე გაცემულია №42 (04.08.2015) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და №2-1218 (17.12.2019) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს # 2-41 (21/01/2020) ბრძანების საფუძველზე გადაეცა შპს „გია _2019"-ს.

ქვეყანაში ცემენტის მოთხოვნილებაზე გაზრთასთან დაკავშირებით, საწარმოში დაიწყო გზების ძიება საწარმოს სიმძლავრის გაზრდასთან დაკავშირებით.

ამიტომ დაიგეგმა გაზრდილიყო საწარმოს მუშაობის საათების გაზრდა, კერძოდ 12 საათიანი სამუშაო დღე გაიზარდოს 24 საათიან სამუშაო დღით (სამცვლიანი რეჟიმი) და წელიწადში 300 დღიანი სამუშაო დღე გაიზარდოს 330 სამუშაო დღით, ანუ წელიწადში 7920 საათი.

ზემოთ აღნიშნული სამუშააო სააშების გაზრდისშემდეგ საწარმოსწლიური სიმძლავრე 18000 ტონიდან გაიზრდება 39600 ტონამდე.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა", ამიტომ **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "გია 2019"-ის ცემენტის წარმოების საამქროს (კლინკერის, თაბაშირისა და დანმამატების დაფქვით) ზემოთ აღნიშნული** ცვლილებებთან დაკავშირებით (წლიური სიმძლავრის გაზრდა) წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

პატივისცემით გია ვარსიმაშვილის

საქართველო. შპს "გია_2019" 430804640 GEORGIA "GIA_2019" LLC
№ 16295 "16" 10 2020 11C8 ფ. 1716 03

დანართი: 1. სკრინინგის ანგარიში;